

## სატენდერო დოკუმენტაცია

### გამარტივებული ელექტრონული ტენდერით სხვადასხვა სახის ელექტრომექანიკური ხელსაწყოების, იარაღების და მათი ნაწილების შესყიდვაზე

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup>  
მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის  
ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის

№9 ბრძანების საფუძველზე

ზუგდიდი, 2016 წელი

## ს ა რ ჩ ე მ ბ ი

1. შესასყიდი საქონლის დასახელება, ტექნიკური აღწერილობა და რაოდენობა
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
3. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია
4. სატენდერო კომისიის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი №2, ფასების ცხრილის ფორმა
7. დანართი №3 ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ

**1. შესასყიდი საქონლის დასახელება, ტექნიკური აღწერილობა, რაოდენობა და მიწოდების პირობები  
ბენზო ცვლი**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7

1	ბენზოცელის საჭრელი მუა 3,5მმ	-	მეტრი	1500	ეტაპობრივად 2016 წლის 31 დეკემბრამდე ერთეულის მოთხოვნიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში	ქ.ზუგდიდი, გორის ქ. №17
2	ბენზოცელის ზეთი 2-ტაქტიანი ძრავის	-	ცალი ლიტრე ბში	48		

**2. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ და ხარისხობრივ მახასიათებლებს:**

2.1 მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ქარხნული წარმოების ახალი, უდღევეტო, მისაწოდებელი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებსა და ნორმებს, სათადარიგო ნაწილები უნდა იყოს შესაბამისად შესადაგებული რაც ხელსაწყოებია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებამდე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ზემოთ აღნიშნული

საქონლების ნიშუშები, თუ საქონელი არ შეესაბამება ჩვენს მიერ მოცემული საქონლის ხარისხს მოხდება ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე მისი დისკვალიფიკაცია.

სატენდერო წინადადების ფასი:

2.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

შენიშვნა:

- მიმწოდებელი უნდა იყოს გარანტორი, რომ მიწოდებული საქონელი იქნება უდეფექტო.
  - მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს თითოეულ ხელსაწყოებზე არანაკლებ 1 წელს მიწოდების დღიდან.
  - მისაწოდებელ საქონლზე საექსპლუატაციო ნორმის ფარგლებში საგარანტიო პერიოდის განმავლობაში არ უნდა გამოავლინოს დეფექტი წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული შეცვალოს აღნიშნული საქონელი თავისი ხარჯებით .
  - მისაწოდებელი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.
- მოსაწოდებელი საქონელი უნდა იყოს უდეფექტო. თუ გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის (ხარვეზი) აღმოფხვრა (საქონლის ახლით შეცვლა), გამოვლენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

### 3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

### (პროექტი)

ქ. ზუგდიდი

2016 წელი.

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მამუკა ციმიჩიას სახით და მეორეს მხრივ, ..... (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ..... სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA..... ) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საბაზო

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი“-ს ბიუჯეტის სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **სხვადასხვა სახის ელექტრომექანიკური ხელსაწყოების იარაღების და მისი ნაწილების** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

#### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტის აღწერა მოცემულია ფასების ცხრილში დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### 3. ხელშეკრულების დირაბულება

3.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს ... (....) ლარს.

#### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და ბაზანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მისი ექსპლოატაციის ნორმების და სატენდერო საგარანტიო პირობების გათვალისწინებით არ გამოავლენს დეფექტებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამოდეს არსებულ სტანდარტებს.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებელის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ეტაპობრივად 2016 წლის 31 მარტამდე, ერთეულის მოთხოვნიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 5.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია შემსყიდველის ოფისი, მდებარე მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთველის ქ. №90.
- 5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

**6. შუსყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

- 6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
- 6.3 მიღება-ჩაბარება მოხდება შემსყიდველის ოფისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი**

- 7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
- 7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 7.3 წინასწარ გადახდის წესი არ გამოიყენება.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**8.1 შემსყიდველი ვალდებულია:**

- 8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 8.1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

**8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:**

- 8.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;
- 8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;

- 8.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;
- 8.2.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

**8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:**

- 8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
- 8.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 8.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;
- 8.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
- 8.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 8.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

**8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- 8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

**9. უფლებების ბაზაცემა**

- 9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**10. ხელშეკრულების პირობების ბაზანინჰვის შესაძლებლობა**

- 10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. შეტყობინება

- 12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
- 12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 13.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროდან შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 14.1 ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.8%-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
- 14.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
- 14.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.



**15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა**

- 15.1** ხელიშეკრული მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 15.2** ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 15.3** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 15.4** მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

**16. ფორს-მაჟორი**

- 16.1** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 16.2** თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 16.3** მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**17. ღაფების გადაწყვეტის წესი**

- 17.1** ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 17.2** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

- 18.1** შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 18.2** ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ ბრძანებით გამოყოფილი წარმომადგენლები ან ინსპექტირების ჯგუფი:-----
- 18.3** ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 18.4** შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 18.5** მიწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშემშლელი პირობები და წარუდგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. დასკვნითი დებულებანი

- 19.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღვევის სურვილით.
- 19.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 19.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 19.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 19.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 19.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის მდე.
- 19.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა.ა.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
 „კეთილმოწყობის ცენტრი“  
 საიდენტიფიკაციო კოდი 419992299  
 მისამართი: ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №17  
 საბანკო რეკვიზიტები: სს „სახელმწიფო ხაზინა“,  
 ბანკის კოდი TRESGE22  
 ანგ. № GE24NB0330100200165022

-----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----  
 -----

ა.ა.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
 „კეთილმოწყობის ცენტრი“-ს  
 დირექტორი:

/მ.ციმინტია/

ხელმოწერა:

#### 4. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

- 4.1 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
- ფასების ცხრილის ფორმას (დანართი №2-ის შესაბამისად);
  - მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერილობას მიწოდების ვადას;
  - ინფორმაციო რეკვიზიტების შესახებ (დანართი №3)
  - ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ.
- 4.2 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
- 4.3 მიწოდებული ხელსაწყოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1 (ერთი) წელს, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა ევალება მიმწოდებელს. აღდგენა, ახლით შეცვლა.
- 4.4 წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის (იხ. დანართი №1) პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 120 (ასიოცი) კალენდარული დღით, წინადადების მიღების დაწყების მომენტიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.
- 4.5 *პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.*
- 4.6 წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
- 4.7 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

*შენიშვნა: (1) — ამ პუნქტის 4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტები და ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.*

*შენიშვნა (2): ამ პუნქტის 4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტები უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. (ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილი).*

*შენიშვნა (3): შესაძლებელია პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო წერილები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის საშუალებით [zug.qkmow@gmail.com](mailto:zug.qkmow@gmail.com)*

#### 5. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის შინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს განსცემს ინფორმაცია და განმარტავდეს შესყიდვის პროცედურების შესახებ

5.1 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მამუკა ციმიანთა - სატენდერო აპარატის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე), მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79, მეორე სართული, საკონტაქტო ტელეფონი: 577 34 17 00

ს ა ზ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმოწერი: \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი, პ/ნ)

\_\_\_\_\_ სახელით,  
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეების მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება სემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - სატენდერო წინადადების ფასი;
  - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;

- ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შენაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას

---

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

---

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

---

(თარიღი)

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

**ფასების ცხრილი**

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური მონაცემები (მოდელი, მარკა, მწარმოებელი ფირმა, მწარმოებელი ქვეყანა)	განზომილების ერთეული	რაოდენობა	საგარანტიო პერიოდი	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4		5	6		
1								
2								

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

**შენიშვნა (1):** გამრჯეველ პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ

თარიღი: \_\_\_\_ \_\_\_\_ 2016 წ.

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

იურიდიული ფორმა:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
საკონტაქტო ტელეფონი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ელექტრონული ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_